საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 20
07/03/2018

20-06-4-201803071940

განკარგულება № 20
2018 წ. 7 მარტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიციირებული ,,მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ - შემუშავებისა და შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიციირებული ,,მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ - შემუშავებისა და შესწავლის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით.

1. გიორგი ღურჯუმელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.
2. ეროდი გორდელაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
3. ტარიელ არუშიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. შოთა გოგიბერიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ოზურგეთის მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. ბესიკ ქათამიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“-ს წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

6. ლევან მგელაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

7. ბახვა დოლიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება მრეწველების“-ს თამჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

8. გენო ჩავლეშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება მწვანეების“-ს თამჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

9. დავით ჭაკნელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თამჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

მუხლი 2. დროებით სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილობის ან/და პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე;

ბ) დროებით სამუშაო ჯგუფმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში საკრებულოს სხდომას განსახილველად წარუდგინოს შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

გ) დროებით სამუშაო ჯგუფმა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საკრებულოს წარუდგინოს დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ასევე ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 7 მარტიდან 2018 წლის 7 ივნისამდე.

მუხლი 4. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო